კვირა, 13 ივლისი 1919 წ. წელიწადი მეორე. 15 თამუზისა, 5879 წ.

F446/1580

# ხმა ებრაელისა

სიონიზმი მიილტვის შექმნას ებრაელ ერისთვის საერთაშორისო უფლებით უზრუნველყოფილი ეროვნული ცენტრი პალესტინაში, (ბაზელის პროგრამა).

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

კანტორა ღიაა ყოველდღე, შაბათებისა და უქმე დღეების გარდა, დილის 10 საათიდან 1 საათამდე. ფული და ყოველგვარი კორესპონდენციები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Кутаисъ, Адвокатская ул., № 8 ред. „ХМА ЭБРАЕЛИСА".

ფასი 2 მანეთი.

№ 9 ორგანო სიონისტთა ორგანიზაციის საოლქო კომიტეტის. № 9

ქუთაისის სიონისტთა ორგანიზაციის, „ცეირე-ციონის" კომიტეტი დიდის მწუხარებით აცნობებს ორგანიზაციის წევრებს, რომ ახალციხეში ახალი სახადით გარდაიცვალა ერთი საუკეთესო ამხანაგთაგანი

**სტუდენტი რუბენ ელიგულაშვილი**

კომიტეტი სწირავს 100 მან. **ეროვნული ფონდის სასარგებლოთ ძვირფასი ამხანაგის სახსოვრად.**

## შემთხვევით იყიდება.

1) ერთი ნავთის ქურჭელი ცინკის 25 ფუთიანი. 2) ერთი ლახანკა დიდი ზომის. 3) ერთი დიდი სპილენძის ქვაბი. 4) ერთი თუჯის ქვაბი. 5) ერთი აკვანი 6) ორი წყლის ბოჭკა.

**მისამართი.** გენერლის ქუჩის გასათავებელში, სამთო უბნის კომისარიატის მახლობლათ სახლი **ქ. კეჩეკმაძის.**

ქუთაისის სიონისტთა ორგანიზაციის „**ცეირე-ციონის**" კომიტეტი

## ულოცავს

**ამხ. ბ. ი. ელიგულაშვილს, ა. ი. მონოვიჩს, მ. ა. კაკიტელაშვილს. მ. ი. ენუქაშვილს და გ. მ. კაკიტელაშვილს** საშუალო სასწავლებლის დამთავრებას და უსურვებს მათ ხანგრძლივ სიცოცხლეს, რომ **ცოდნითა და მუშაობით ემსახურონ აღორძინებულ ერსა და სამშობლოს.**

**კბილის სამკურნალო**

## შ. ნ. ნამიოტისა.

**მეტათ ხელსაყრელ ფასებში** შეიძლება დაავადმყოფებულ კბილების აქიმობა, კბილის მოძრობა უტკივრათ, პლომბების გაკეთება და ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, როგორც ოქროსი, აგრეთვე კაუჩუკისა.

მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7 საათამდე, გარდა შაბათებისა და ებრაულ უქმეებისა. მისამართი: მიხაილოვის ქუჩა, ჩიქოვანის სახლი, წითელ ხიდთან. 1—2

## ექიმი პ. ზ. კოკოჩაშვილი

იღებს შინაგან, ყურის, ცხვირის და ყელის ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 12—1 საათამდე და საღამოს 5—7-ამდე. გაგარინის ქუჩა, № 5. სახლი ფირალოვისა. 1—4

**დოქტორი მედიცინისა**

## გ. ი. პაპიტელაშვილი

იღებს ქალთა და ბავშთა ავათმყოფებს. ელექტრონის სამკურნალო, შარდის ბუშტის ელექტრონით განათება და წამლობა, პარალიჩიანების აქიმობა.

მიღება ავათმყოფებისა: 8—12 და 4—9 საათამდე.

**პუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი.**

### ქუთაისი, 13 ივლისი.

თუ ებრაელი ერის განთავისუფლება, მისი აღორძინება ძველ სამშობლოში უნდა ჩაითვალოს უდიდებულეს და უმშვენიერეს აქტად მთელ მის მრავალ საუკუნოვან არსებობაში—თვით **პროცესსი** აღორძინებისა, სწორეთ ვსთქვათ, ის გიგანტური, მაგრამ უტკბესი მუშაობა, რომელიც მოელის **უკვე** აღორძინებულ ერს, **აღორძინებულ** სამშობლოში თავის ისტორიულ იდილის მისაღწევათ—უნდა ჩაითვალოს კიდევ უფრო ბრწყინვალე და მეტათ დიად ხანათ მის ისტორიაში.

ვიბრძოდით რა ჩვენი სამშობლოს პალესტინის განთავისუფლებისათვის, ჩვენ არასოდეს არ ვივიწყებდით, რომ იქ მოგველის უდიდესი და მძიმე მუშაობა, რომელიც მოითხოვს მთელი ერის ძალების ამოძრავებას. განსაკუთრებით, ჩვენ, სიონისტებს, რომლებიც სათავეში ვუდექით ჩვენი ერის აღორძინების საქმეს, ყოველთვის გვქონდა ეს შეგნება.

ეს მუშაობა არის პალესტინის ებრაელთა მიერ კოლონიზაცია, რომელიც დაკავშირებულია ემიგრაციასთან. იმ მედალზე, რომლის ერთ მხარეზე მოჭრილია პალესტინის კოლონიზაცია, მეორე მხარეზე არის ამოჭრილი დიასპორიდან პალესტინაში ებრაელების ორგანიზაციულათ გადაყვანა. ეს ორი მხარე არის ერთი და იმავე მოვლენისა, ორი თვალსაზრისი ერთ საგანზე; ეს არის ორი პოლიუსი ერთი და იმავე რადიუსის, რომლის ერთი ბოლო მიბჯენილია წრის ცენტრში, მეორე-კი მის პერიფერიებში. ემიგრაცია გალუთიდან და იმიგრაცია პალესტინაში, ორი წარმოდგენაა კოლონიზაციის, რომელთა განხილვა შეიძლება მხოლოთ ერთად.

ისეთ ფართო მასშტაბის ემიგრაცია, რომელიც დაიწყება პირველ შეძლებისთანავე უნდა იქნეს მოწყობილი ფრთხილათ, ორგანიზაციულათ, წინდაწინვე შემუშავებული გეგმით. ცენტრი და პერიფერიები უნდა მუშაობდენ განუწყვეტლივ კონტაქტით, მათი მეთოდი უნდა იქნეს შეთანხმებული და მიმართული ერთი მხარისკენ.

მაგრამ, სამწუხაროთ ასეთ შეთანხმებულათ მუშაობას ხელს უშლის ის მდგომარეობა, რომელშიდაც ჯერ კიდევ იმყოფება მსოფლიო: მიმოსვლა შეწყვეტილია, სხვა და სხვა ნაწილებთან კავშირი არ არის, ცენტრი და პერიფერიები ერთი მეორეს მოწყვეტილნი არიან. მხოლოდ, სანამ ნორმალური, შეთანხმებული მუშაობის საშუალება არა გვაქვს, ჩვენ პასსიურათ ცდაში კი არ უნდა გავატაროთ დრო, არამედ უნდა შევუდგეთ ეხლავე მზადებას იმ დიდი საქმისათვის, რომელიც მოგველის, დარწმუნებული ვართ, ახლო მომავალში. უნდა ავამოძრავოთ გალუთის ყველა ნაწილების ებრაული ძალები. სასწრაფოთ ადგილებზე უნდა მოეწყოს პალესტინის შესწავლის კურსები, უნდა დაარსდეს კოოპერატიული არტელები და სხვ.

საჭიროა აგრეთვე დაუყონებლივ მოხდეს **ყველგან** სრული რეგისტრაცია პალესტინაში გადასახლების მსურველების.

ყველგან უნდა მოეწყოს ებრაული ენის შესასწავლი კურსები. სიონისტთა ორგანიზაციებში უნდა მოეწყოს საგანგებო პალესტინის კომისია, რომელიც განაგებდეს ზემო ხსენებულ ყველა საკითხებს. ეს კომისია იმუშავებს პალესტინის ინფორმაციულ ბიუროსთან კონტაქტით, რომელიც, თანახმად კავკასიის სიონისტთა მეორე ყრილობის დადგენილებისა, ამ ახლო მომავალში გაიხსნება ბაქოში და ბათუმში (განყოფილება გაზ. „ხმა ებრაელისა" რედაქციაში).

მეტათ რთული და მძიმეა ამ ჟამათ სიონისტთა ორგანიზაციის მუშაობა, მაგრამ განა ასეთი ნაყოფიერი მუშაობა, რომელიც წარმოადგენს ჩვენი მიზნების განხორციელებას, არ იყო ჩვენთვის მრავალი წლების განმავლობაში ოცნების საგანი? განა ჩვენ განუსაზღვრელ სიყვარულითა და სიამოვნებით არ შევუდგებით იმ საქმეს, რომელიც გოლიათური ნაბიჯებით გვიახლოვებს ჩვენ იმ ჟამს, როდესაც ჩვენი მუშაობის ნაყოფით გავახარებთ ჩვენს სულს, ჩვენ ცხოვრებას?, როდესაც „**ყოველი ისრაელი მოისვენებს თავის ბაღის ვაზის ქვეშ**", და გაგულისებული იეშურუნი კვლავ დაუბრუნდება მიტოვებულ სიონს და ააყვავებს მას. მაშ არც ერთი წამი მოსვენება, სანამ დაუღალავი მუშაობით არ მივაღწევთ ტურფა სამშობლომდის.

## დროა გონს მოვხვიდეთ.

### I.

სპეციფიური მდგომარეობა ჰქმნის სპეციფიურ მოთხოვნილებებს, სპეციფიურ საშუალებებს. ჩვენი ერის განსაკუთრებულმა ცხოვრებამ შეჰქმნა განსაკუთრებული მოთხოვნილებანი; ჩვენი გალუთის უცნაურმა პირობებმა გამოიწვიეს მრავალი უცნაური დაწესებულებები, რომლებიც ჩვენს განგდებაში ტრადიციულათ იქცენ. ასეთ დაწესებულებას ეკუთვნის რაბინატიც. ბევრი არა ებრაელი რაბინს ეძახიან „ურიების ღვდელს"—ეს დიდი შეცდომაა. ღვდელი, როგორც სასულიერო პირი არის მლოცველი, მაზიარებელი და სხვ., ერთის სიტყვით, მისი ფუნქციები განისაზღვრება მხოლოთ სარწმუნოებრივი ცხოვრებით. რაბინი კი არის ერთ და იმავე დროს საზოგადოების წარმომადგენელიც, უმთავრესი მზრუნავი საზოგადოების ცხოვრების, და სასულიერო პირიც. მისი ფუნქციები განუსაზღვრელია, ის განაგებს საზოგადოების **ყოველ გვარ** საქმეებს. ერთის სიტყვით, რაბინი იყო ის, რასაც ეხლა წარმოადგენს ეროვნული საბჭოები. მხოლოდ რაბინი ისეთი, როგორც ჩვენ დავახასიათეთ **იყო** და ეხლა კი... აღარ არის. ასეთი რაბინი იყო შედეგი ჩვენი არა ნორმალური პირობების; მისი არსებობის მიზეზი იყო ჩვენი უუფლებობა, ჩვენი უბედური ცხოვრება. რუსეთში რევოლიუციის შემდეგ (და სხვა ქვეყნებშიდაც, სადაც ებრაელები პოლიტიკური სწორ-უფლებიანობით სარგებლობენ) ასეთი რაბინები აღარ არსებობენ. მას შემდეგ, როდესაც ჩვენ შეძლება მოგვეცა შეგვქმნათ დემოკრატიული ეროვნული საბჭო, ასეთ რაბინს, რასაკვირველია, ადგილი აღარ აქვს, ის რჩება მხოლოთ სასულიერო წარმომადგენლათ და, **როგორც რაბინი**, არავითარ საზოგადოებრივ საქმეებში არ ერევა.

### II.

დიდი ხანი არაა, რაც ქუთაისის რაბინის თანაშემწე გარდაიცვალა.

ჩვენ აქ არას ვიტყვით იმაზე, თუ როგორი ღვაწლი მიუძღვით ჩვენ რაბინებს, და საზოგადოთ ჩვენს ხახმებს, ხალხის წინაშე, მხოლოთ ვიტყვით რომ რაბინის თანაშემწეს მიცვალებას მეტი ზარალი არ მიუყენებია რაბინისათვის, ვინებ აქამდის ჰქონდა მას. საზოგადოთ ჩვენი რაბინისა და მისი თანაშემწეს უმთავრესს (თუ ერთად ერთს არა) მუშაობას წარმოადგენდა მეტრიკული წიგნების წარმოება, რომელიც ეხლა პატივცემულ რაბინს ქალაქის თვითმართველობისათვის გადაუცია (რისთვის?, რა უფლებით ჩაიდინა ეს? მაგრამ ამაზე შემდეგ) და, რაღასთვის, რომელი სხვა მუშაობისთვის არის საჭირო რაბინისათვის თანაშემწე—გაუგებარია. განსვენებული რაბინის თანაშემწე იყო მლოცველათ სალოცავში და, ჩვენის აზრით ეხლა ჩვენ გვჭირდება რაბინის თანაშემწე კი არა, არამედ მხოლოთ მლოცველი (ხაზანი). შეიძლება გვითხრან რომ თანაშემწე საჭიროა ქორწინებისთვის, „მილისთვის" და სხვ.? პირველი რომ თუ ამასაც ვეღარ შეასრულებს რაბინი, მაშ რაღა დარჩენია მას აკეთოს? მეორე არსად არ გაგონილა, არც ასეთი კანონი არ არსებობს ჩვენში, რომ **უსათუოდ** მხოლოდ რაბინმა უნდა შეასრულოს მილა და ქორწილიო! თუ ასე ბევრი მილები იქნება, ჩვენში ხახმები ბევრია, რომლებსაც შეუძლიან „მილაც" გააკეთონ და „ქეთუბაც" წაიკითხონ, როგორც

ამას შეებიან ყველგან. და თუმც რაბინი საზოგადოთ დაღლილია, მას აღარ შეუძლია მუშაობა, დასუსტდა,-რაც დასაშვებია—ეს სულ სხვა საქმეა. მხოლოთ არც ამ შემთხვევაში არ არის თანაშემწე საჭირო. თუ მას მუშაობა აღარ შეუძლია, მაშინ ჩვენ უნდა მოვნახოთ სხვა **რაბინი** (და არა თანაშემწე); რა საკვირველია ეხლანდელ რაბინს ჯამაგირი არ უნდა დაეკარგოს, მისი მატერიალური მდგომარეობა უნდა უზრუნველჰყოს საზოგადოებამ.

ასე რომ რაბინისათვის თანაშემწე არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. ამას ყველა ჩვენ კარგათ ვხედავთ, ამას იტყვის ყოველი ქუთაისელი გულწრფელი ებრაელი. მიუხედავათ ყველა ამისა, ჩვენი პატივცემული რაბინი მოითხოვს ერთს კი არა, რამდენათაც ჩვენ ვიცით **ორ** თანაშემწეს!.. თავისთავად იბადება კითხვა: რა მოსაზრებით თხოულობს რაბინი და მისი მესვეურნი თანაშემწეს (ისიც ორს!), თუ კი ეს არაფერ საჭიროებას არ წარმოადგენს? აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რაბინი ძალიან დაინტერესებულია იმაში, თუ ვინ იქნეს მის თანაშემწეთ: ის პირდაპირ ბრძანებს, რომ ეს იქნეს ჩემი თანაშემწე და არა სხვაო. ეს ერთი. მეორე გასაოცარია ისიც, რომ რაბინს სურს, რომ მისი თანაშემწე იქნეს ზევითა სალოცავის ებრაელებისთვის და ეს თანაშემწე იქნეს იქვე მლოცველათ.

საკვირველია. რაბინი არსებობს რომელიმე ერთი ჯგუფისთვის კი არა, არამედ მთელი ებრაელობისათვის და, თავის თავად გასაგებია, რომ მისი თანაშემწეც უნდა არსებობდეს ქუთაისის ყველა ებრაელებისთვის ან ის რა საჭიროა, რომ თანაშემწე იქნეს უსათუოდ ზევითა სალოცავის მლოცველათ? „ზევითა“ ებრაელობა სრულებით არ არიან დაინტერესებული იმით, რომ ეყოლება რაბინს თანაშემწე თუ არა: მათ სჭირდებათ მხოლოთ მლოცველი...

მაგრამ... მაგრამ საქმეც იმაშია, რომ აქ სრულებითაც არ არის ლაპარაკი თანაშემწეზე ან მლოცველზე, როგორც ასეთებზე. ძაღლის თავი სულ სხვაგანაა ჩამარხული... წინათ რაბინის არჩევნების დროს ქუთაისში სასტიკი ბრძოლა იყო ხოლმე გაჩაღებული. მხოლოთ ბრძოლა იყო წმინდა „მეშჩანური“. ბრძოლა სწარმოებდა პრინციპიალურ ნიადაგზე კი არა, არამედ ნათესაობრივ კინკლაობაზე. რიჟინაშვილებს უნდოდათ რაბინათ გაეყვანათ **იქსი** იმიტომ რომ ის იყო მათი სახლი კაცი, კაკიტელაშვილებს უნდოდათ **იგრეკი** იმავე მოსაზრებით. **ეხლა კი** მდგომარეობა უფრო რთულია. ეხლა სწარმოებს პირდაპირ პარტიული ბრძოლა, ეხლა ჩვენს საზოგადოებაში ორი მიმართულება დაუპირდაპირდენ ერთი მეორეს და სასტიკ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებენ.

III.

ყველამ იცის თუ რას წარმოადგენდა ორი-სამი წლის წინად ქუთაისის ებრაელთა საზოგადოება: ის, როგორც ნებისყოფა, როგორც ძალა, არ არსებობდა, არ არსებობდა ის თავის თვალშიაც. მრავალი წლის დამონავებულმა სიცოცხლემ ჩაჰკლა მის სულში სიამაყე, მოუსპო მას თვით მოქმედების უნარი და თავჩაღებული შეჰყურებდა ორიოდე პლუტოკრატებს და „ხახმებს“, რომელნიც დესპოტურათ თარეშობდენ მის ცხოვრებაში. საზოგადოება ხედავდა მათ, როგორც თვით უფლის მიერ დანიშნულ მოამაგეთ. მაგრამ ვაყინული არაფერი რჩება; ნელ-ნელა სინათლის სხივები შევიდა ებრაელთა ქოხაში; საზოგადოებას თვალი აეხილა, კისერი გამართა, ხმა ამოიღო და დაიწყო ბრძოლა მისი უბედურების მიზეზის წინააღმდეგ. წამოიზარდა მოსწავლე ახალგაზდობა; თავი წამოჰყო ნორჩ ინტელიგენციამ და ხალხს მიუთითა მისი მტრებისაკენ. ამ გარემოებას, რასაკვირველია, ვერ შეეგუბა „ღვთიდან გამოგზავნილი“ „უფროსები“, დაინახეს უფსკრული და დაიწყეს საშინელი კვნესა. ჯერ კიდევ სიზმარში ეგონათ თავიანთი თავი, ვერ წარმოედგინათ რომ გუშინდელ ყურმოჭრილ მონებმა ხმა ამოიღეს და მოითხოვდენ მათი მძიმე უღლიდან განთავისუფლებას.

შეერთდენ ინტელიგენტური ძალები, შეჰქმნეს მძლავრი ორგანიზაცია, რომლის დროშის ქვეშ შემოკრბენ მთელი საღათ მოაზროვნე ახალგაზდობა და ორგანიზაციულად, დაიწყეს მუშაობა ბნელი ძალების წინააღმდეგ და ხალხის საკეთილდღეოთ. მაგრამ არც მოწინააღმდეგეთ სძინავდათ, მათ უფრო მეტათ გაცხარებული მუშაობა დაიწყეს, მოაწყეს ყველა ძალების მობილიზაცია, მიიღეს ყოველგვარი ზომები „აჯანყების“ ჩასაქრობათ. მათ ანგარიში გაუწიეს „ბავშების“ ხმაურობას, რომელიც შემდეგ საერთო საზოგადო ხმად გადიქცა და ახალგაზდათა ორგანიზაციაში ისინი სამართლიანათ ხედავდენ მათი თარეშობის ბოლოს მომღებს. მათი უმთავრესი საბრძოლველი იარაღი არის ზეპირი პროპოგანდა, რომლითაც ისინი სარგებლობენ ძალიან ფართოდ. მხოლოდ პროპოგანდის ნამდვილი სახე დაფარეს და მას მისცეს სარწმუნოებრივი ხასიათი, რითაც ხალხის მოტყუებას აპირებენ. უმთავრესი ადგილი პროპაგანდისთვის, აქვთ სალოცავები, სადაც ისინი, ჯერ კიდევ გაბატონებული არიან. სარგებლობენ რა ისინი ხალხის რელიგიოზური განწყობილებით და მისი უვიცობით, ეს ბატონები არ ზოგავენ არც-ერთ გვარ სიცრუეს და ტყუილს. შაბათობით, კაი დღეობით, ან თუ ვინმე გარდაიცვალა (ეს ვაჟბატონები არც მიცვალებულის შეურაცყოფას არ ერიდებიან), რაც, საუბედუროთ, ამ ბოლო დროს გახშირდა და საზოგადოთ, ყოველთვის, როდესაც ხალხი სალოცავში თავს იყრის, დაიწყებენ თავიანთ მავნე პროპაგანდას, ვითომ ხალხს ასწავლიან ჩვენი სარწმუნოების დაცვას.

„**ვაი მისთვის ვინც ხახმებს ეწინააღმდეგება, ის მოისპობა, დალარიბდება, გადაშენდება. ვინც** სიონისტებს აყვება ის ისრაელი არ **არის, ის დაბათილდება- ვინც სიონისტების ვეჩერზე წავა—იმის ლოცვას ღმერთი არ მიიღებს. ხახმებს გაუგონეთ,** ის ქენით რაც **ჩვენ გითხრათ, თორემ კარგი არ მოგელით...**

აი რას ქადაგებენ ჩვენი „მოამაგენი“, თითქოს ეს წარმოადგენდეს ჩვენი ცხოვრების უმთავრეს უბედურებას, თითქოს სხვა არაფერი გვჭირდებოდეთ. მაგრამ ჩვენმა „დიპლომატებმა“ კარგად იციან, რა უთხრან ხალხს, რომელთაც სრულიადაც არ აწუხებთ ხალხის ნამდვილი საჭიროება, და მხოლოთ თავიანთი ინტერესები ახსოვთ. აი, ბატონებო; მიზეზი იმისა, რაც ხდება ეხლა ჩვენ ქუჩაზე. ვიიომდა რაბინის თანაშემწეს ამორჩევისათვის: ჩვენ დესპოტებს ის აწუხებთ, რომ ზევითა სალოცავში **აგენტი** არა ყავთ, რომელმაც მოწამლოს ჩვენი საზოგადოების ის ნაწილი, რომელზედაც მათ ცოტა გავლენა აქვთ. ისინი სრულებითაც არ არიან დაინტერესებული რაბინის თანაშემწეს დანიშვნაში; რაბინის მუშაობა, როგორც ვთქვით, იმდენათ მცირეა რომ მარტო რაბინმაც ძალიან თავისუფლათ შეუძლია გაუძლვეს. პლუტოკრატიას სულ სხვა რამ აწუხებს: მათ არ უნდათ ასე უბრალოთ დაუთმონ ხალხს თავიანთი პოზიცია და ზევითა სალოცავში სჭირდებათ აგენტი, რომელმაც გასწიოს აგიტაცია იქ მლოცველ ებრაელებში მათ სასარგებლოთ. ამიტომ არის რომ ესენი ძალიან დაინტერესებული არიან იმაში თუ ვინ უნდა იქნეს იქ მლოცველათ. რაც ჩვენ ვთქვით, რომ ყველა ეს სიმართლეს მოკლებული იყოს ჩვენ ძალიან მოსიამოვნე ვიქნებოდით, მაგრამ სამწუხაროთ, ეს სრული სიმართლეა; ნამდვილი მიზანი რაბინის თანაშემწესათვის ბრძოლისა სწორეთ ეს არის. ეს რომ ასე არ იყოს, ჩვენი ხახმები და მისი მესვეურნი რომ მარტო თავიანთ თავზე არ ზრუნავდენ, სულ სხვა ნაირად მოიქცეოდენ. მაშინ ისინი სხვებთან ერთად იმუშავებდენ ეხლანდელი მოთხოვნილების თანახმად, ანგარიშს გაუწევდენ ხალხის სურვილებსა და საჭიროებებს. ჩვენ ეს კარგად ვიცით და არავითარ იმედებს არ ვამყარებთ იმაზე, რომ იმათ პოზიცია დათმონ სანამ ბრძოლაში უკანასკნელათ არ დამარცხდებიან (რომლის წინაშეც ისინი უკვე დგანან). მხოლოთ ჩვენ გვინდა აქ ორიოდე სიტყვით მივმართოთ მათ: ბატონებო! ხომ ხედავთ რომ ახალი თაობა, მთელი მოსწავლე ახალგაზდობა დ არა მოსწავლენიც-კი ახალ

# შკოლის საკითხი და ეროვნული აღზრდა.

ებრაულ ეროვნულ აღმაშენებლობის საკითხთა შორის, შკოლას და მის თვისებას უჭირავს ერთი პირველი ადგილთაგანი.

ამ საკითხთან მჭიდროთ არის დაკავშირებული მოზარდი თაობის აღზრდა, მოზდილთა კულტურულათ განვითარების საკითხი.

მეტათ რთულია იგი საზოგადოთ ჩვენი გალუთის ანორმალურ ცხოვრებაში და კიდევ მეტათ რთულია ის ჩვენში, საქართველოს ებრაელობაში, ვინაიდან ყველგან ებრაელობა დიდი ხანია კულტურულათ ვითარების გზას ადგია და შკოლის საკითხი მათთვის არც ისე გამწვავებულ საკითხს წარმოადგენს შედარებით. საქართველოში კი ებრაული ეროვნულ-საზოგადოებრივი მოძრაობა მხოლოდ ჩანასახის ხანას განიცდის.

სხვა, ნორმალურ, ერებისათვის შკოლის საკითხის გადაწყვეტა, თუ როგორი თვისების, რამდენათ ეროვნული უნდა იქნეს ის, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მაგალითად, საქართველოში რომ შკოლა წმინდა ქართული, ეროვნული იქნეს, ამისთვის სრულებით არ არის საჭირო, რომ შკოლის საქმეს განაგებდენ უსათუოდ ნაციონალისტები; აქ შკოლა თავისთავად ეროვნულია (რასაკვირველია, რამდენადაც ამას ხელს არ უშლის გარეგნული პირობები). ქართველებისათვის, როგორც სხვა ნორმალურ პირობებში მცხოვრებ ერებისათვის, ეროვნული შკოლის, ენის საკითხი არ არსებობს.

მათი შკოლა თვისი არსებით არის დაწესებულება ეროვნული, რომლის დანიშნულებაა მთელი თვისი არსებობით ბუნებრივათ და ობიექტიურათ სამსახური გაუწიოს ეროვნულ აღზრდას. ასეთი ერებისათვის ეროვნულ-კულტურული ფორმების გარეშე შკოლის არსებობა მოუაზრებელია.

იმ ერისათვის, რომელიც მოკლებულია ნორმალურ ცხოვრებას, შკოლას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა; ექსტერიტორიალურ ერისათვის, რომელიც მოკლებულია პოლიტიკურათ ერთეულ ორგანიზაციას, სახელმწიფოებრივ ფორმებს, მოკლებულია დამოუკიდებლობას, შკოლა აუცილებლათ წარმოადგენს ერთად-ერთ დაწესებულებას, სადაც ვითარდება ეროვნული ცხოვრება, ინახება კულტურული ტრადიციები და იჭედება დანაწილებული ერის ერთიანობის შემეცნება. ებრაელი ერის ცხოვრებაში, რომელიც დაფანტულია მრავალ ერთა შორის, შკოლა ყოველთვის თამაშობდა უდიდეს როლს. ამ მხრივ ღრმად სიმპტომატიურია ჩვენი ისტორიის ერთი მომენტთაგანი:

იშლება პოლიტიკური დამოუკიდებლობა, იმსხვრეობდა სიმაგრეების კედლები—და მთელ იუდას შოედო რომის მძიმე ბრჭყალები. ამ დროს, ზარბაზნების გრიალის ქვეშ, იერუსალიმის გალავნების ნგრევის განგაშის დროს, არსდება შკოლა იაბნეში. იქმნება შკოლა, როგორც ერთად-ერთი თავშესაფარი ეროვნული აზრისათვის, როგორც ზღუდე ეროვნული ცხოვრებისათვის. მოკლებული ტერიტორიას, დაფანტული აზიის, ჩრდილო აფრიკის და სამხრეთ ევროპის სხვა და სხვა ქვეყნებში, ებრაელობა თანდათან ეჩვეოდა შკოლას, როგორც თავის ცხოვრების ერთ უმთავრეს ზღუდეთაგანს, რომელმაც უნდა შეინახოს ცოცხალი, წმინდა სული, წმინდა **თორა** ბრძენი **თალმუდი** და ყველა ის, რასაც შეუსისხლხორცდა ხალხი არა მარტო დაუვიწყარ წარსულის დარდში, არა მარტო რელიგიურ ექსტაზში, არა მხოლოთ ცოდნისა და მეცნიერების ძებნაში, არამედ აგრეთვე აღორძინებაზე, უკეთეს მომავალზე ოცნებაშიდაც და მას შემდეგ ადგილობრივი პატრიოტიზმის საგანს წარმოადგენდა ათასი შკოლები, ათი ათასეული მოწაფენი და მასწავლებელი, რომელსაც ჰყავდა ოცდა ათი ათასი მოწაფე. და შემდეგაც, ყველა საუკუნოებში, თვით საშუალო საუკუნოებშიდაც-კი, ეროვნულ-კულტურული ცხოვრების ცენტრათ იყო იგივე შკოლა. ხშირად იცვლიდა ჩვენი ერი დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ სხვა და სხვა მიზეზების გამო თავის საცხოვრებელ ქვეყანას, მაგრამ ყველგან თან გადაქონდათ შკოლა: სურში, პუმბადიტში, მახუზაში, ისპანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ლიტვაში, კავკასიის მთებში—პატარა საქართველოშიდაც,-ყველგან შკოლები, ეშიბოთები, ყველგან შეხინა თავის ნებით მოწოწიალე ხალხთან ერთად თვალ უწვდენელ დიასპორაში. შკოლა დარჩა, როგორც ერთად ერთი სამკვიდრებელი, როგორც უკანასკნელი საშვალება ებრაელობის შესანარჩუნებლათ, რომ არ გათქვეფილიყო სხვა ხალხთა ზღვაში.

ებრაული შკოლა იძლეოდა სულიერ საზდოს მთელი ერისათვის, რომელიც მოცილებული იყო ყველა ერებისაგან და არ ჰქონდა საშუალება გაცნობოდა არაებრაულ მეცნიერებას. ებრაელი თავის შკოლაში ვითარდებოდა, იქ ღებულობდა აღზრდას. მხოლოდ ებრაული წიგნი იყო ერთათ-ერთი საზრდო, მხოლოდ ებრაული ცოდნა, რომელიც იყო სარწმუნოებრივ—ეროვნული შემეცნების ზღუდე.

შემდეგ დაიწყო ხანა „განათლებისა“. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, ებრაელები გაეცნენ ელინთა „სიბრძნეს“, დადგა ეპოქა ეგრე წოდებული „ჰასქალისა“. დაიწყეს ცდა, რომ შეეტანათ ებრაულ შკოლაში სხვა გვარი სული, სხვა თვისება. ეგონათ რომ ებრაელობა თავის უბედურების, სილატაკის მიზეზი თვითონვე არის, ბრალს სდებდენ შკოლას, რომელიც აძლევს ცალმხრივ აღზრდასო. გულწრფელათ სჯეროდათ, რომ კასტიუმის გამოცვლით და „კიკინების“ შემოკლებით, გერმანული ან რუსული ენის შესწავლით განთავისუფლდება ებრაელი ერი, გახდება სწორ უფლებიანი და არავითარ დევნას ადგილი აღარ ექნებაო.

რუსეთში, როდესაც ალექსანდრე მეორის დროს ებრაელთა მდგომარეობა ცოტათი შემსუბუქთა, დაარსდა „ებრაელთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელმაც სხვადასხვა ქვეყნებში დაარსა მთელი რიგი ახალი ტიპის შკოლებისა. ებრაულ შკოლაში თავი იჩინა რეაქციამ. თუ აქამდის შკოლაში არა ებრაულს ადგილი არ ჰქონდა, ეხლა ახალ შკოლაში ებრაული ენა, ისტორია, ბიბლია—პირდაპირ იდევნებოდა. ებრაულ საგნებს უთმობდენ კვირაში მხოლოდ 3—5 საათს, დანარჩენი 25—27

გზას დადგა; ხედავთ რომ მათ არ სურთ ჩამორჩენ საერთო წინმსვლელობას; არ სურთ მონაწილეობა არ მიიღონ ერისა და მისი კულტურის აღორძინებაში. ხომ იცით, რომ გამარჯვება ბოლოს ახალგაზდობისაა. ხომ იცით ეხლანდელი 300—400 მოწაფესა ტ სტუდენტებისაგან, როგორი არმია გამოვა 5—10 წლის შემდეგ? ხომ იცით, რომ ჩვენ ვართ მომავალი „ჯამაათი"? და განა არ გეშინიათ ამ ჯამაათის განკიცხვით მოგონების, თუ სწორე გზას არ დაადექით? განა ვერ ხედავთ რომ თქვენი შვილები ვერ ივლიან თქვენი უკუღმართი გზით?

ამაოა თქვენი ბრძოლა, ამაოა თქვენი პროპაგანდა. ქუთაისის ებრაელობა თვით მოქმედების, აღმაშენებლობის გზას ადგია და გარწმუნებთ, რომ ერთი კი არა ხუთი თანაშემწეც ვერ დაასუსტებს ჩვენი საზოგადოების ამ გზით სიარულს. დროა გონს მოხვიდეთ!

იგივე.

# სწორი გზისაკენ!

„ხმა ებრაელისამ" განაახლა თავის გამოცემა წინანდელ ნომრებიდან მკითხველებმა კარგათ იციან, რომ ჩვენი გაზეთის მისწრაფება მაში გამოიხატებოდა, რომ სათანადოთ გაგვეშუქებია და გამოგვემჟღავნებია ებრაელების ცხოვრება „გალუთის" სხვა და სხვა ნაწილებში, და კერძოთ საქართველოში. ჩვენ მივისწრაფოდით, და ახლაც მივისწრაფით, რასაკვირველია, აგვენიშნა ყველა ის დანაკლისები და ავადმყოფობანი, რომლითაც იტანჯებოდა ქუთაისის ებრაელთა მასსა სხვა და სხვა პირობების გამო.

იგი მოცილებული იყო, იმ ებრაულ ეროვნულ ნიადაგს, რომელზედაც მას უნდა დაეწყო თავის ენერგიული შემოქმედებითი ეროვნული მუშაობა. აი, სწორეთ, ეს გარემოება გულს გვიკლავდა ჩვენ, ქუთაისის ებრაელთა ინტელიგენციას, და ვცდილობდით ჩვენი მოწოდებებით ხალხისადმი ჩაგვენგრია ის უჩინარი ჩინეთის კედელი, რომელიც აღმართული იყო ჩვენსა და ებრაელ მასსას შორის, და რომლის უმთავრესი მიზეზი იყვნენ რამოდენიმე ზნეობრივათ ძლიერ დაბალ დონეზე მდგომი, ხალხის უბედურებაზე თავიანთი ბედნიერების და კეთილდღეობის აშენების მოსურვე პირები. ჩვენ ყოველთვის ვიდექით ხალხის ინტერესების ნამდვილ, რეალურ ნიადაგზე და ამ ჩვენ დანიშნულებაზე არც ახლა ვიღებთ ხელს, პირიქით, გაორკეცებული ენერგიით ვკიდებთ ხელს ჩვენ მისსიას და შეუშინებლათ ვხვდებით ჩვენ მომავალ დიდს და მძიმე საქმეს.

საჭირო არ არის კვლავ განვიხილოთ და დავასუროთ პროგრამმა ჩვენი მომავალი მოქმედების, ვინაიდგან ამას კარგათ გაიგებს მკითხველი თვით წინანდელ ნომრებიდან, და მასთანვე ამაზე კარგათ მიგვითითებს ისიც, რომ „ხმა ებრაელისა" არის სიონისტური ორგანიზაციის ორგანო, და ამ ორგანიზაციის ღვაწლი და როლი ებრაელების ცხოვრებაში ყველამ კარგათ იცის.

მაგრამ იცვლება დრო, იცვლება ცხოვრების პირობები, და მასთანვე იცვლება საკითხები და მიმართულება პუბლიცისტიკის მიუხედავათ მისი წინდა წინ გამომუშავებული პროგრამის კანონებისა.

შეიცვალა ებრაელების სცხოვრება, ყველგან მკრთალი, ფერ დაკარგული, გონება დაბნეული უსაზღვრო წვალებით ებრაელი, გაქრა, აღარ არსებობს. მისი ადგილი დაიკავა სალმა, მოღიმარმა, ეროვნული სულით აღსავსე და მომენტის სერიოზულობით გამსჭვალულმა ებრაელმა. მსოფლიოს ებრაელობა ფეხზე წამოსდგა, დასწყვიტა ის გადახლართული გორდიის კვანძი, რომელიც მას სულს უხუთავდა და განძრევის საშვალებას არ აძლევდა; იგი, ვიმეორებ, აღმშენებლობის გზას დაადგა თავისუფალ პალესტინაში. მან უკანასკნელათ მოსჭრა თავი იმ შვიდთავიან გიდრას, რომელიც თვით გაუქმების სულით და იდეებით იყო გატაცებული— თავი მოსჭრა ასსიმილიაციას, —რომელმაც უკვე თავის სამარე თვით გაიკეთა ებრაულ ისტორიაში. დიახ, მსოფლიო ებრაელობამ გამოიღვიძა და თავი დააღწია ყველა უბედურობას.

მაგრამ რას ვხედავთ აქ, ამ ბედკრულ ქუთაისის ებრაელობის ტბაში, მარტო ჭაოს, მარტო არეულს, ამღვრეულ წყალს, და დრო გამოშვებით სქელ მუცელა, არაფერზე არ მოზრუნე, მაგრამ მოყვირალე ბაყაყებს.

აი რა სიბინძურე და გაუნათლებობა არსებობს ჩვენ ირგვლივ, აი რა მომსპობი და მომკვლელი ინდიფერენტიზმი გვახვევია თავზე, და ყველა ეს იმ დროს როდესაც ყველაზე მეტათ საჭიროა საქმეზე მიდგომა, თავგანწირული, დაუღალავი მუშაობა მთელი ებრაელობის მოძრავი მანქანაში სულის და სისხლის ჩასხმა, მისი მოსულიერება, გამაგრება და სათანადო გზაზე დაყენება. დიახ, ამ ახალ ეროვნულ მოძრაობაში ჩვენ მონაწილეობას არ ვიღებთ, მსოფლიო ებრაელობის მოღიმარ იმედით სავსე სახეზე ჩვენ უძრავ, უსინათლო, მოღუშულ ლაქს წარმოვადგენთ ან და სრულიათ არ ვსჩანვართ. „და განა ამას აღარ უნდა მოეღო ბოლო?", გაბრაზების და სიმწრის ბორგში გაიძახის ყოველივე ნამდვილი ძმა და მოყვარე ებრაელი.

ჩვენ ვუპასუხებთ: დიახ! და ამის ასრულებას ხელს ვკიდებთ.

შევუდექით რა ამ მუშაობას, ჩვენ მოვუწოდებთ დანარჩენ კეთილ მსურველ ელემენტებს ჩვენთან ერთათ მოკიდონ ხელი ამ საპასუხისმგებლო საქმეს და დარწმუნებული ვართ, რომ ქუთაისის ებრაელობაც მოკლე ხანში დიდს ნაბიჯს გადადგამს ამ დარგში, შეუდგება პროგრესიულ წინსვლას და ამით შეუერთებს თავის ხმას მედგრათ მოგრიალე მსოფლიო ებრაელობის ხოროს.

ბიელი.

# ვის სჯეროდა?

ვის სჯეროდა თუ რომ კიდევ
აღსდგებოდა ჩვენი ერი?
ან სამშობლო ქანაანი,
ენა წმინდა მშვენიერი?

—

ვის სჯეროდა?! დაგვცინოდენ!
და გიჟებად სთვლიდენ ყველას
ვინც იტყოდა: „არ მომკვდარა,
გვაქვს იმედი, ველით შველას!"

ტანჯვა ბევრი წილად ჩვენ გვხდა
სხვის ქვეყნებში დევნილებსა
მაგრამ მაინც არ დავკარგეთ
ეს იმედი მრავალ წლებსა.

—

და ხომ ხედავთ, მოგვევლინა
შველა წლობით დანატრული:
დაგვიბრუნდა ჩვენ სამშობლო
მტრისგან მწუხრი, დაჩაგრული.

—

ჩვენ ზრახვებმა გაიმარჯვეს—
—ამით ვართ ბედნიერი,
დღეს ხომ მაინც გაიხარებს
თვის მიწაზე ჩვენი ერი?!

—

მაგრამ, ძმებო, ამისათვის
შრომა გვმართებს ყველას, ყველას,
მაშინ ერეც—ისრაელში
მოვესწრებით მარად შველას.

სოსიკო.

# სიონისტთა ორგანიზაციის საყურადღებოთ.

მსოფლიოს მთელი ებრაელობა ამოძრავდა: ყველგან განახლება, ყველგან შემოქმედებითი მუშაობა, ყველგან აღორძინებისაკენ მისწრაფება. არ არსებობს ისეთი ნაწილი ებრაელი ერისა, სადაც ამ უკანასკნელ წლებში განახლება არ ეტყობოდეს, სადაც ეროვნულ-კულტურული მუშაობა არ სჩქეფდეს.

ამერიკა, ევროპა, ავსტრალია-აფრიკა, აზია—ყველგან სულიერი სისალე, ყველგან სიცოცხლე. თვით ასეთი მივიწყებული, დაბეჩავებული, მსოფლიო ებრაელობის მოძრაობას მოკლებული ნაწილები, როგორიც იყვნენ მაროკოს, ხივის, ბუხარის, დაღესტანის და სხვ. ებრაელები— ეხლა მათშიც გამოიღვიძა მოძრაობის, შემოქმედების სულმა და ჩაბმული არიან საერთო ფერხულში. საქართველოს ებრაელობასაც კი გაუმჯობესება ეტყობა: თითქმის ყველგან მოაწყეს ეროვნული საბჭოები, აქა-იქ შკოლები დააარსეს და სხვ. ერთის სიტყვით, ხუთი წლის საშინელმა ომმა, რევოლიუციურმა მოძრა-

საათი კი დაკავებული იყო სხვა და სხვა საგნებისათვის. ასეთი შკოლის იდეოლოგები იმდენათ გატაცებულნი იყვენ, რომ ებრაული ლიტერატურის, ისტორიის და ბიბლიის დევნასთან ერთად ქადაგებდენ აგრეთვე... ეროვნებიდან ხელის აღებასაც—ასსიმილიაციას.

ამავე დროს ძველი ტიპის თალმუდ-თორები, რომლებმაც მოჭამეს თავისი დრო, თხოულობდენ გადახალისებას, ის ანტიპედოგოგიური და ანტიჰიგიენური პირობები, როგორიც სუფევდა იქ, შეუძლებლათ ხდიდენ შემდეგში მათს არსებობას. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მასას მაინც ამ თალმუდ-თორებში შეყავდათ თავიანთი ბავშები. ეს მიტომ რომ თალმუდ-თორა ჯერ კიდევ რჩებოდა ებრაელთა ცხოვრების ფაქტათ და მას კიდევ არ დაუკარგავს მნიშვნელობა ხალხის თვალში, ვინაიდან ებრაული ენის და ისტორიის ერთად-ერთი თავშესაფარი იყო თალმუდთორა. ახალ რეფორმებიან შკოლაში კი ეს საგნები გაძევებულნი იყვენ.

ებრაელთა საზოგადოების ეროვნულათ განწყობილ ნაწილს ვერ აკმაყოფილებდა ვერც ახალი შკოლები და ვერც ძველებური თალმუდ-თორები. მათ არ სურდათ არც „რეფორმატორთა" მიერ შექმნილი გადამგვარებელი შკოლები და არც თალმუდ-თორების სრულიად მოსპობა. ისინი სცდილობდენ ძველი თვისების თალმუდ-თორებში შეეტანათ საჭირო რეფორმები; მოეწყოთ ის თანახმად თანამედროვე პედოგოგიური მეცნიერების მოთხოვნილებისა, შკოლის ჰიგიენისა და სასწავლო ტეხნიკისა. ამგვარად მოეწყო ახალი ტიპის თალმუდ-თორები. ამ უკანასკნელმა თუ მთლად არ გადასწყვიტა შკოლის საკითხი, ყოველ შემთხვევაში, ბევრი დადებითი შედეგები მოგვცა.

ასეთი ტიპის შკოლების გარდა, ეროვნულმა წრეებმა შეჰქმნეს მთელი რიგი ნორმალური შკოლებისა, სადაც ებრაულ საგნებს ეჭირათ სათანადო ადგილი, სადაც ყველაფერი გაჟღენთილი იყო ეროვნული სულით. მოაწყეს აგრეთვე საბავშო ბაღები, რომ ბავშის სულში მცირე ხნოვანობიდანვე ჩაენერგათ სიყვარული ებრაული ენისადმი.

დაბოლოს ებრაელთა საზოგადოების ეროვნულათ განწყობილი წრეებისა და აგრეთვე ფართო მასსაში ეროვნული თვითშემეცნების სულ უფრო და უფრო ზრდის ზედა გავლენით ასსიმილიაციურ შკოლებში თან და თან ფეხს იმაგრებდა „ებრაელიზაცია", ებრაულმა საგნებმა დაიჭირეს საპატიო ადგილი. ამგვარად ასსიმილიაცია, როგორც ფორმულა, როგორც იდეოლოგია სამუდამოთ დამარცხდა ებრაელობაში.

ამ ჟამად რუსეთის ყველა კუთხეში, ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში, ავსტრო-უნგრეთში, ერთის სიტყვით ყველგან (სხვათაშორის ბაქოშიაც) არსებობს მთელი რიგი ნამდვილი **ებრაული** სასწავლებლისა: საბავშო ბაღები, პირველ დაწყებითი შკოლები, სახელოსნო სასწავლებლები, გიმნაზიები, პედოგოგიური კურსები და სხვა და სხვა, რომლებშიდაც ყველა საგნებს სწავლობენ აღორძინებულ **ებრაულ** ენაზე

განსაკუთრებით ებრაული სწავლა-განათლების საქმე ჩადგა ნორმალურსა და ნაყოფიერ კალაპოტში რუსეთის რევოლიუციის შემდეგ, როდესაც ჩვენ მოგვეცა საშუალება ავტონომიური ცხოვრებისა. საქართველოს ებრაელობას, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ უმცირესობას, საშუალება გვეძლევა ჩვენი შინაური ცხოვრება ავტონომიურათ მოვაწყოთ. ჩვენი ეროვნულ-კულტურულ მისწრაფებათა შორის პირველი ადგილი უჭირავს შკოლას, რომელიც უნდა იყოს აგებული ავტონომიურ საფუძვლებზე.

როგორი შკოლა გვჭირდება ჩვენ?

ეს საკითხი ჩვენთვის, სიონისტებისათვის, ყოველთვის დიდს, საყურადღებო საგანს წარმოადგენდა და პირველათ ჩვენ წამოგაყენეთ ქუთაისის შკოლის გაუმჯობესების საკითხი. მაგრამ მაშინ ჩვენ ორტოდოქსებს ამის გაგონებაც არ სურდათ. მხოლოთ ეხლა, როდესაც საქართველოს მთავრობამ დაადგინა საერთო სავალდებულო სწავლა-განათლება. ამ კანონმა გამოაფხიზლა ჩვენი საზოგადოების სხვა და სხვა ჯურის მიმართულებანი: ორტოდოქსია და... ასსიმილიტორები. ერთი ძალიან შეაწუხა, ჩააფიქრა—მეორეს კი სიხარულის ფრთები მოასხა... ორტოდოქსიას შეეშინდა, ვაი თუ ჩვენი ბავშები ძალით წაიყვანეს სახელმწიფო შკოლაში და თალმუდ-თორები დაიკეტოს, სარწმუნოებას და ეროვნებას ბოლო მოეღებაო. ასსიმილატორებმა კი ზეიმი მოაწყეს: ებრაელთა ბავშები ქართულ შკოლაში აღიზარდება, გადაგვარ-დებიან, გაქართველდებიან და ჩვენი მიზანიც განხორციელდა"-ო და ამ თავითვე შეუდგენ საქმეს, რომ თალმუდ-თორები არ იქნეს შეტანილი სახელმწიფოთა შკოლათა რიცხვში და დაიწყეს გაზეთის საშუალებით ქუთაისის ებრაული შკოლებისა და მასწავლებელთა ძრახვა-გინება.

ეხლა როდესაც შკოლის საკითხი ასე თუ ისე ჩვენში უნდა იქნეს გადაწყვეტილი, ჩვენც გვინდა გამოვთქვათ ჩვენი აზრი ამის შესახებ.

ორტოდოქსია, რომლის ხელშიაც არის, ქუთაისის თალმუდ-თორები" და, რომლის მომავლითაც ის ძალიან დაინტერესებულია სცდილობს, რომ შკოლის საკითხი ჩვენში ხელუხლებელი დარჩეს, არავითარ შკოლის რეფორმებზე ლაპარაკიც არ სურს და შუამდგომლობს მთავრობის წინაშე რომ ებრაელთა შკოლები მათი გამგეობის ქვეშ დასტოვოს და სავალდებულო სწავლა-განათლების კანონი ებრაელებზე არ იქნეს გავრცელებული!! ჩვენ, რა საკვირველია ვერც ერთს ამ ორი უკიდურესებთაგან ვერ შევურიგდებით: ვერც მეომარ, ორტოდოქსთა ფანატიკებს ვერც გადაგვარების, მოსპობის მოციქულებს ასსიმილიატორებს.

ორტოდოქსია, რომელსაც თავის თავი ჰგონია თვით უფლის მიერ დანიშნულ ხალხის უმფროსათ, როგორც სჩვევია, ხალხის დაუკითხავათ, თავისებურათ სწყვეტს სახალხო საქმეს და ხალხის სახელით ლაპარაკობს მთავრობის წინაშე, ფართო მასსამ კი არც იცის რაშია საქმე, არც გაუგია სავალდებულო სწავლა-განათლების კანონის გამოცემა. ამისათვის ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ეს საკითხი ვაქციოთ თვით ხალხის სამსჯელო საგნათ, გავაშუქოთ ის ყოველ მხრივ, რათა საშუალება მიეცეს ხალხს თავის საკუთარი შეხედულება შეჰქმნას ამ ფრიად საყურადღებო საკითხზე და თვითონვე გამოსთქვას თავისი სურვილი.

(დასასრული იქნება).

ს. ციციაშვილი.

ობამ პატარა ერების თავისუფლებისათვის ბრძოლამ—ყველანი შეარყი, ყველაფერს სული ჩაუდგა.

მხოლოდ ყველაფრის გავლენის გარედ რჩება დღემდისაც ერთად ერთი ქუთაისის ებრაელობა. ეს ჩინეთის კედელი დღემდის დაუცხრომელი რჩება: იგივე უჩინარობა, იგივე უმეცრება, იგივე ანტისაზოგადოებრივობა.

ქუთაისის ებრაელობა დღესაც არ განთავისუფლებულა ძველი, გახრწნილი, რეტროგრადთა „ოპეკისაგან."

უკვე ორი წელიწადია, რაც ამ ლუთისაგან „ნაკურთხ" ქალაქში ლაპარაკობენ ეროვნული საბჭოს მოწყობაზე. ერთხანს ამ საქმეს სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ჩვენი-ძველი „მამები", რომლებიც ვერ შერიგებოდნენ იმ აზრს რომ ხალხმა თავიანთ საჭიროებებზე თვითონვე იზრუნოს.

მაგრამ ამ ბოლო დროს ისინი თითქოს ანგარიშს უწევენ ხალხის ძლიერ განწყობილებას, მის მოთხოვნილებას და თითქოს მზად არიან შეუდგნენ სიონისტებთან და სხვა დემოკრატიულ ჯგუფებთან ერთად ამ საქმის მოწყობას. მაგრამ, სამწუხაროთ ჯერ არცერთი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა ამ დარგში და მე, სიმართლე უნდა ვსთქვა, ეჭვი მეპარება გუშინდელ მოწინააღმდეგეთა გულწრფელობაში, რადგანაც ჩვენ ვერ ვხედავთ ვერაფერ დამაბრკოლებელ მიზეზს იმისთვის, რომ დაუყონებლივ შეუდგნენ ეროვნული საბჭოსათვის არჩევნების მოწყობას.

ნუთუ აღარ არის დრო, რომ ამ საქმეს შეუდგეთ? ნუთუ ამ დაწესებულების საჭიროებას ყოველი ჩვენთაგანი არ გრძნობს? ნუთუ ჯერ კიდევ იმას უნდა ვუცადოთ, როდის კეთილ ინებებენ და დაგვიძახებენ ჩვენი „წინამძღოლნი"? დროა გავიგოთ, რომ სალოცავების „კომისრებისათვის" არც ძალიან სასიამოვნოა ასეთი დაწესებულების დაარსება, როგორც ეროვნული საბჭო; მათ კარგათ იციან, რომ ეროვნული საბჭო, დემოკრატიული წესით არჩეული, იქნება ხალხის ჭეშმარიტი წარმომადგენელი, მისი ნამდვილი სურვილებისა და სულის კვეთების გამომხატველი და კერძო პირების ბატონობას ადგილი აღარ ექნება. საჭიროა, რომ ეს საქმეს ხელი მოკიდონ მათ, ვისაც გული შესტკივა საზოგადოების კეთილდღეობისათვის, მისი ეროვნულ-კულტურულათ აღორძინებისათვის.

განა სხვა ადგილებში, სადაც უკვე მოეწყო ეროვნული საბჭოები, ებრაელთა შორის არ მოიპოებოდენ ისეთი „საზოგადო მოღვაწენი", ვისთვისაც დემოკრატიული დაწესებულების მოწყობა არა სასიამოვნო იყო? რომელნიც თვალზე ცრემლებით ეთხოვებოდენ განუსაზღვრელ ბატონობას? მაგრამ, როდის იყო, რომ ამას ყურადღებას აქცევდენ? სად მოხდა, რომ ამ მიზეზის გამო საზოგადო საქმე შეაჩერეს?

არ შემიძლია, არ უსაყვედურო ქუთაისის სიონისტთა ორგანიზაციას, რომ აქამდის მას არ მიუღია ენერგიული ზომები ამ საქმის მოსაგვარებლათ, გადაელახა ყოველივე დაბრკოლებანი, რაც კი ხელს უშლის ამ საქმის წინ მსვლელობას.

ჩვენ მივმართავთ ქუთაისის სიონისტთა ორგანიზაციას, როგორც ერთად-ერთ ორგანიზაციას ქუთაისის ებრაელთა შორის და, როგორც ყველაზე მეტათ დაინტერესებულ ამ საქმეში; მოუწოდებთ მას, რომ აიღოს თავის თავზე ინიციატივა ეროვნული საბჭოს მოწყობისა და შეუდგეს საარჩევნო კომიტეტის მოწესრიგებას. სანამ ჩვენ სხვები დაგვიძახებდენ, სჯობს, რომ სხვები ჩვენ მოვიპატიჟოთ საერთო საქმისათვის. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ სიონისტთა ორგანიზაციას ამისათვის საჭირო ძალა და ცოდნა მოეპოება და ხალხის ფართო მასსაში იპოვის გამოძახილს და თანაგრძნობას.

ვისაც ხალხისათვის კეთილი არა სურს, ვინც საზოგადოების დაბეჩავებულ მდგომარეობას შერიგებია, მათ ჩვენ ვეტყვით – შორს ჩვენდან, უღირსნო შვილნო ისრაელისა!..

მაშ მოქმედებისკენ!

**გარეშე.**

---

## სტუდენტი რეუბენ ელიგულაშვილი.

(ნეკროლოგი).

ივანობისთვის პირველ რიცხვებში ძლიერ სამწუხარო ცნობა მივიღეთ: ახალციხის ფრონტზე გარდაიცვალა ახალგაზდა სამხედრო ფერშალი სტუდენტი რეუბენ ელიგულაშვილი. ამ უნუგეშო ამბავმა თავზარი დაგვცა ქუთაისის ებრაელებს და კერძოთ კი მოსწავლე ახალგაზდობას განსვენებული ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს ღებულობდა მხურვალე მონაწილეობას ქუთაისის ებრაელთა მოსწავლე ახალგაზდებთან ერთათ, რომ შეეტანათ რაიმე განათლება, კულტურულათ დაქვეითებულ ქუთაისის ებრაელებში და კიდეც დაარსეს „სახალხო ორგანიზაცია დემოკრატიული სიონისტთა ფრაქციის „ტეეირე ციონის" და კულტურულ გამანათლებელი წრე. რუბენი იყო წყნარი, ზრდილობიანი, პატიოსანი, და კეთილის მსურველი ყველასათვის; არ იყო ზოგიერთებივით მყვირალა. თავის ზნეობრივ სიფაქიზით და მშრომელ ხალხისადმი ყურადღებით მან დიდი სიყვარული დაიმსახურა. განსვენებული ჯერ კიდევ 19 წლის არ ყოფილა, რომ დაამთავრა გიმნაზია, ოცნებობდა უმაღლეს სასწავლებლის დამთავრებაზედ. მაგრამ საწყალს ბედმა უღალატა. წარსულ წელს მობილიზაციის გამოცხადების ჟამს შევიდა სამხედრო სამსახურში თავის მოქალაქეობრივი მოვალეობის ასასრულებლათ, და იმყოფებოდა ახალ-ციხის ფრონტზედ. შემდეგ განსვენებული იყო დანიშნული შავი სახადის საბრძოლველ რაზმში, სადაც ის დაავადმყოფდა ამ სახადითვედა გარდაიცვალა მოვალეობის პირნათლათ ასრულების დროს.

საუკუნო იყოს ხსენება შენი პატივცემულო და დაუვიწყარო რუბენ.

**ბ. ? ელ—შვილი.**

---

## ებრაელების ცხოვრებიდან

**პროპუსკების მიღების უფლება.** ბრიტანეთის გენერალური შტაბის პოლკოვნიკმა გრანტამ ბელლიუმ აცნობა თბილისის ებრაელ ეროვნულ საბჭოს. რომ ცნობა ებრაელების სტამბოლში არგაშვების შესახებ შეცთომით იყო გამოცემული, რის გამოც ეს კანონები ძალას კარგავენ და ებრაელებს (როგორც ქართველებს, ისე რუსისას) უფლება აქვთ სტამბულში დაუბრკოლებლათ გამგზავრების.

### პალესტინა.

— **ქვემო გალილეია.** ქ. გალილეიდან მოსული წერილი აშუქებს ეკონომიურ მდგომარეობას მიწათ-მოქმედი ახალშენებისას.

ომის დროს კოლონიების მდგომარეობა ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იყო, მაგრამ ინგლისელების მოსვლის შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლათ შეიცვალა. კოლონისტები განთავისუფლდენ ოსმალთა მიერ დადებულ მძიმე ბეგარისაგან. მხოლოთ ერთმა მდგომარეობამ დააღონა კოლონისტები. ეს გამოიწვია ბირჟაზე ფულის უქონლობამ. იმ დროს, როდესაც ამბარები გატკეპნილი იყო პურით, მათი გატანა მიმოსვლის შეწყვეტის გამო შეუძლებელი იყო, რის გამო მათ არ ჰქონდათ საშვალება ბევრი საჭირო ინვენტარის ყიდვის. ამ უმწეო მდგომარეობიდან გამოიყვანა კოლონისტები „ანგლო-პალესტინის" ბანკმა და „ეკო"მ", რომელთაც მისცეს მას სესხით 200 ათასი მანეთი. ამით კოლონისტებმა საშვალება მიიღეს დაეკავებიათ ის მიწებიც კი, რომელიც წინათ ყრუ ადგილს წარმოადგენდნენ. კოლონისტები იმედს გამოსთქვამენ, რომ მომავალი მოსავალი და ექსპორტის მოწესრიგება კვლავ ააყვავებს მას და დაუბრუნებს წინანდელ კეთილ მდგომარეობას.

— **იაფა.** ქ. იაფაში მოვიდა 2 გემი რამოდენიმე ასეული პალესტინელებით და მცირერიცხოვანი ახალგაზდების ჯგუფით რუსეთიდან და ავსტრიიდან.

დაბრუნებულთა შორის მრავალი მოწაფეებია იაფის გიმნაზიის და იერუსალიმის სემინარიის, რომელნიც მსახურობდენ ოსმალთა არმიაში აფიცრებათ და ჯარის კაცებათ ომის დროს. ისინი დაბრუნდენ ანატოლიის და კავკაზიის შორეულ კუთხეებიდან.

მოვიდა აგრეთვე ჯგუფი ებრაელების რუმინიიდან, რომელიც მოასწავებს ახლო მომავალში ფართო იმიგრაციას რუმინიის ებრაელებისას პალესტინაში.

### უცხოეთი.

— **დერბენტი.** ქალაქში გამეფებულია სრული სიწყნარე. ებრაელებიც დაწყნარდენ. ძარცვა-გლეჯამ საგრძნობლათ იკლო. კაზაკები არ ერჩიან ებრაელებს. მუსლიმანებს და ებრაელებ-შორის კავშირი დამყარდა სასურველი. ქალაქის საბჭოში მუშაობენ ძმურათ. კავშირი მუსლიმანებ და ებრაელებ შორის მეტათ სასიამოვნოა, ვინაიდან ხალხისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტს.

ქალაქის საბჭოს გადაწყვეტია პირველივე სხდომაზე მიეცეს ებრაელებს ადგილი ქალაქის გამგეობაში თავმჯდომარის ამხანაგისა და ერთი წევრისა. პირველ თანამდებობაზე არჩეულია ებრ. ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ა. **ფინხასოვი**, მეორეზე კი-ინჟენერი ა. **ხანუკაევი**.

მთელ ებრაელებში მეტათ გავრცელდა სიონისტური მოძრაობა. ყველა: მოხუცი, ახალგაზრდა; ქალი, კაცი, დაინტერესებულია პალესტინით; ყველა მოუთმენლად ელის ახალ ამბებს იქიდან. თითქმის ყველა მიისწრაფვის პალესტინაში. დერბენტში კიდეც დაარსდა პროფესიონალური ჯგუფები გადასახლების, მიზნით, ისტორიულ სამშობლოს კოლონიზაციისათვის.

— ახლათ შექმნილ არაბეთში სახელმწიფო სამსახურში იმყოფება სულ 3 ებრაელი: 1) ნისიმ-ბეი ედვმი—რკინის გზათა გამგე, 2) იოსებ ებადი—სავაჭრო პალატის წევრი და 3) მოსე ტუტახი—ქალაქის გამგეობის წევრი.

— **ოსკარ შტრაუსი და ზავი.** გამოჩენილი სიონისტური მოღვაწე, ამერიკის ყოფილი ელჩი კონსტანტინოპოლში, მილლიარდერი ოსკარ შტრაუსი ამჟამათ იმყოფება პარიზში, სადაც თავმჯდომარეობს ზავის პირობების ცხოვრებაში გატარების უზრუნველმყოფელ ლიგას,

— **ოსმალეთის ებრაელებ.** სმირნაში დაარსდა ებრაული საზოგადოება „აგუდათ მისგაბ ისრაელ"-ი.

ამ დაწესებულებას დასახული აქვს მიზნით ებრაელების ინტერესების დაცვა ყველა დარგში, გამოხატოს ებრაული ეროვნული სურვილები, დაიცვას მისი უფლებები და აამაღლოს პრესტიჟი იუდაიზმის. ამ ახალი დაწესებულების თავმჯდომარეთ ითვლება სმირნის ებრაული თვითმართველობის თავმჯდომარე და მუშაობს შეთანხმებულათ სიონისტურ ორგანიზაციასთან.

— **კულაში.** მოხუცი ისხაკ ბათიაშვილი გავიდა სახლიდან სავაჭროთ და აღარ დაბრუნებულა. ყოველგვარმა ძებნამ ამაოთ ჩაიარა: ვერც ცოცხალი ნახეს, ვერც კვდარი.

— **ნოვოროსიისკი.** ბ. რუხამოვიჩმა გაგზავნა პალესტინაში 27 მილიონის სხვა და სხვა ასაშენებელი მასალები.

— **პარიზი.** „იკა"-ამ (ებრაული კოლონიზაციური საზოგადოება), რომლის განკარგულებაში არის 600 მილიონამდე ფრანკი, დაადგინა შესწყვიტოს მოქმედება არგენტინაში და მთელი კაპიტალი მოახმაროს პალესტინის კოლონიზაციას.

### ქუთაისი.

— კვირას 8 ივლისს დიდი სალოცავის ეზოში ადმინისტრაციის წარმომადგენლის ი. კუპრაშვილის თანადასწრებით უნდა მომხდარიყო რაბინის თანაშემწეს არჩევნები. არჩევნების უკანონობის გამო მთავრობამ უკანასკნელი არ დაადასტურა.

— **ქუთაისი.** წელს საშუალო სასწავლებელი დაამთავრეს შემდეგმა ქუთაისელ ებრაელებმა. 1. ა. ა. ელიგულაშვილის ასულმა, (სიონისტკა). 2. ბ. ი. ელიგულაშვილმა, 3. ა. ი. მინოვიჩმა, 4. მ. ა. კაკიტელაშვილმა, 5. მ. ი. ენუქაშვილმა, 6. გ. მ. კაკიტელაშვილმა—(სიონისტები), 7. გ. მ. ელიგულაშვილმა, 8. ე. გ. ციციაშვილმა—(ს. ფ.).

ახალციხეში შავი სახადით გარდაიცვალა სამხედრო ფერშალი, ქუთაისის სიონისტთა ორგანიზაციის წევრი, სტუდენტი რეუბენ ელიგულაშვილი.

— **ცხინვალი.** ცხინვალიდან გვატყობინებენ, რომ იქ მდგომი გვარდიელები დიდ ზიანს აყენებენ ადგილობრივ ებრაელებს. უფასოთ ართმევენ სხვა და სხვა ნივთებს. საზოგადოთ ძალიან ცუდათ ექცევიან ებრაელებს. საჭიროა მთავრობამ ყურადღება მიაქციოს გვარდიელთა სამარცხვინო საქციელს.

### პარტიული ცხოვრება.

— ქუთაისის სიონისტთა ორგანიზაციამ გაუგზავნა ამიერ-კავკასიის სიონისტთა მეორე ყრილობას შემდეგ შინაარსიანი დეპეშა: „დიდს მწუხარებას გამოვსთქვამთ, რომ ჩვენდან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ჩვენმა დელეგატმა ყრილობას ვერ მოუსწრო. მივესალმებით რა ყრილობას, ქუთაისის სიონისტთა სახელით, ჩვენ ვაყენებთ ყრილობის წინაშე შემდეგ მოთხოვნილებებს: 1) გაზ. „ხმა ებრაელის" გამოცემის უზრუნველყოფა, 2) ცენტრალური სიონისტური კომიტეტის შექმნა ქ. ბაქოში და საოლქო კომიტეტი საქართველოსთვის ქუთაისში, 3) ამიერ-კავკასიის საერთო ებრაელთა ყრილობის მოწვევა. 4) სასწავლებლის გახსნა ქუთაისში.

**თავმჯდომარე ციციაშვილი."**

— ქუთაისის სიონისტთა ორგანიზაციის კომიტეტმა ცირკულიარით მიმართა პროვინციებში არსებულ ორგანიზაციებს, მოაწყონ საჩქაროთ იმ პირთ რეგისტრაცია, რომლებსაც სურთ პალესტინაში გადასახლება.

— უკანასკნელ თავის სხდომაზე ქუთაისის სიონისტთა ორგანიზაციის კომიტეტმა დაადგინა ამ ახლო მომავალში მოიწვიოს საქართველოს სიონისტთა კონფერენცია.

— **რედაქციისაგან.** უადგილობის გამო კავკასიის სიონისტთა მეორე ყრილობის რეზოლიუციები და ანგარიში მოთავსებული იქნება შემდეგ ნომერში.

— შემდეგი ნომერი გაზ. „ხმა ებრაელისა" მიძღვნილი იქნება დოქტორ ჰერცლის თუთხმეტი წლის გარდაცვალების საიუბილეო წლის თავს და მისი ნორდაუს სამოცდა ათი წლისას დაბადებიდან.

---

გამოცემა სიონისტთა ორგანიზაციის საოლქო კომიტეტის.

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა, სახლი ძმ. ბერუჩოვების, ქუთაისში